განმცხადებელი: თემური ლაჭყეპიანი, ინდ.მეწარმე გელა ნაცვლიშვილი-ს წარმომადგენელი

თარიღი: 29-06-2023

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1;პრინციპი 3;პრინციპი 5

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები: ჟურნალისტი ანა რობაქიძე, ონლაინ გამომცემლობა ,,აი ფაქტი"

სადავო მასალა: სახელწოდება: " როგორ პატრონობს ზესტაფონის მერია მიუსაფარ ძაღლებს? " თარიღი: 29 მაისი, 2023 წ., მედიასაშუალება: ,,აი ფაქტი", მბული: https://ifact.ge/rogor-patronobs-zestafonis-meria-miusafar-dzaglebs/

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და მიაწოდოს საზოგადოებას ზუსტი ინფორმაცია, ჟურნალისტი სტატიაში აღნიშნავს: ,, ზესტაფონთან, ბუნებრივია, უფრო ახლოს არის ქუთაისის თავშესაფარი, მაგრამ სახელმწიფო დაწესებულებაა და მხოლოდ ქუთაისის ძაღლებს ემსახურებიან, ტენდერებში მონაწილეობას არ იღებენ. ამიტომ, მიუხედავად გაუსაძლისი პირობებისა, ზესტაფონის მერია ძაღლებს მაინც ოზურგეთის დროებით თავშესაფარში გზავნის." - მიუხედავად იმისა რომ არსებობს სახელმწიფო ინსპექტირების -შემოწმების აქტი სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტიდან რომ თავშესაფარში დაცულია ყველა საჭირო სტანდარტი, მაინც გაუსაძლისად მიიჩნევს ჟურნალისტი პირობებს, ასევე რესპოდენტი ყვება რომ თურმე არ არსებობს თავშესაფარში საჭირო კომუნიკაციები რასაც ასევე ადასტურებს რომ სიყალბეა ის შემოწმების აქტი, ასევე ეს ყველას შეუძლია გადაამოწმოს უსაფრთხოების წესების დაცვით. ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია - მიუხედავად იმისა რომ ჟურნალისტი მესაუბრა მანამდე ტელეფონით და ვაცნობე რომ ყველაფერი არის თავშესაფარში წესრიგში მაინც დაწერა არასწორი მიზანმიმართული დეზინფორმაცია რომელიც გამომდინარეობს პიროვნებების ჩვენებიდან რომლებიც წლებია მებრძვიან და ებრძვიან ჩემს აქტიოვბას ცხოველთა დაცვის სფეროში ესენი არიან თინათინ ჭავჭანიძე, სოფიო ბეროშვილი და თინათინ კვალიაშვილი. მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება მიუხედავად ამისა დღემდე ეს სტატია არის შეუსწორებელი და მოიცავს დეზინფორმაციას. ჟურნალისტს ჩემთან საუბარში არ გადაუმოწმებია ის ფაქტები რაზედაც წერს, რამდენჯერმე გამესაუბრა ტელეფონით თუმცა სულ სხვა თემებზე გამესაუბრა და არც გამოქვეყნებულა საპასუხო ინფორმაცია.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას: ვეთანხმები